

”წარმოიდგინეთ, რომ ლარზე ვთქვით უარი და გადავედით დოლარზე...”

გაზეთი ”კვირის პალიტრა” – 23-29 იანვარი, № 4, 2017

მაშინ, როდესაც აშშ-ში ახალი პრეზიდენტის ინაგურაციამ ხმაურიანი აქციების თანხლებით ჩაიარა და ამერიკელთა დიდი ნაწილი ქვეყნის პრეზიდენტად დონალდ ტრამპს კვლავაც არ აღიარებს, საქართველოში პოლიტიკური განხილვის უმთავრეს თემად კვლავაც ”გაზპრომთან” ახალი პირობებით დადებული ხელშეკრულება რჩება. სწორედ ამ საკითხით დავიწყეთ ლადო პაპავასთან საუბარი.

- ბატონო ლადო, საქართველოსა და „გაზპრომს“ შორის ახალი შეთანხმების გარშემო ატეხილმა ხმაურმა, ბევრს გაახსენა თქვენი ერთი წლის წინანდელი ინტერვიუ, როდესაც ჯერ კიდევ უნივერსიტეტის რექტორმა, მკაცრად გააკრიტიკეთ ხელისუფლება „გაზპრომთან“ იმჟამად მიმდინარე მოლაპარაკებების გამო, ამასთანავე, არაერთხელ მომისმენია ვარუადი, რომ თქვენი რექტორობიდან წასვლის ერთ-ერთ მიზეზად შესაძლოა ეს კრიტიკაც გამხდარიყო...

- ბევრმა მართლაც ასე აღიქვა და ალბათ არის ამაში სიმართლის მარცვალი... უნივერსიტეტის თემაზე შემეძლება უფრო მეტი მოგახსენოთ მას შემდეგ, რაც იმ მოვლენებიდან ერთ წელზე მეტი გავა.

- კარგით, ნუ ვილაპარაკებთ უნივერსიტეტზე, თუმცა მოგვიწევს საუბარი „გაზპრომთან“ გაფორმებულ ახალ შეკრულებაზე, მის ახლებურ პირობებზე, რომელიც კვლავაც მკაცრად გააკრიტიკეთ, მოდით, უფრო დაწვრილებით ავუხსნათ მკითხველს, რატომ არის ეს პირობები წინაზე ბევრად უარესი და რა ზარალს ნახულობს საქართველო?

- ამას აქვს თავისი ეკონომიკური და გეოპოლიტიკური კომპონენტები. საგაზეთო ინტერვიუში გაჭირდება მკითხველსთვის იმის დაწვრილებითი ახსნა, რასაც არაერთი სქელტანიანი წიგნის წაკითხვა სჭირდება. მით უფრო ძნელია ელაპარაკო არაკომპეტენტურ არასპეციალისტებს, რომელთაც თვალი გაახლიეს თუ არა, ეგრევე აღმოჩნდნენ პოლიტიკაში და ახლა ჰგონიათ, რომ ამის გამო თურმე ყველაფერი იცინა.

ყველაზე მთავარი, რაც უნდა გვახსოვდეს ისაა, რომ თავად მოსკოვის საჯარო განცხადებებით ენერგეტიკა და უფრო კონკრეტულად „გაზპრომი“ არის ის იარაღი, რითაც რუსეთი ახირციელებს ეკონომიკურ ზეწოლას როგორც თავის უშუალო მეზობლებზე, ისე ყველა იმ სახელმწიფოზე, მომელსაც „გაზპრომი“ პირდაპირ ან ირიბად მისწვდება!

სიტუაცია კი არის ასეთი: ჩვენ წინა ხელშეკრულებით, ტრანზიტის საფასურად, სომხეთში გატარებული ბუნებრივი აირის 10% გვრჩებოდა, რაც საქართველოსთვის ხელსაყრელი კონტრაქტი იყო. ჩვენს ენერგეტიკულ ბალანსში ეს 10% მნიშვნელოვანი მოცულობა იყო, რაშიც ფულს არ ვიხდიდით. ახლა როდესაც ლაპარაკია იმაზე, რომ უნდა მოხდეს ფულადი ანაზღაურება, იგულისხმება, რომ „გაზპრომი“ ტრანზიტის საფასურად გატარებული ბუნებრივი აირის 10%-ის საფასურს თანხობრივი ანგარიშსწორებით გადაგვიხდის, თუმცა ამ ფულით იმ მოცულობის გაზს ვეღარ ვიყიდით, რაც ტრანზიტის საფასურის ნატურით ანაზღაურების შემთხვევაში გვრჩებოდა.

- რატომ?

- საქმე იმაში გახლავთ, რომ რუსეთმა გაზის საფასური სომხეთისთვის რამდენჯერმე გააიფა. 2006 წელს „გაზპრომმა“ საქართველო და სომხეთი გააფრთხილა, რომ 2007 წლიდან გაზის საფასური მნიშვნელოვნად უნდა გაზრდილიყო. კერძოდ, 1 000მ3 გაზის ფასი ნაცვლად 110 აშშ დოლარისა გახდებოდა 230 აშშ დოლარი. იმავდროულად, ორივე სახელმწიფომ მიიღო შეთავაზება, რომლის თანახმადაც, თუ ეს ისინი მოისურვებდნენ ძველი (შედარებით იაფი) ტარიფით გაზის მიღებას, მაშინ სხვაობა ძველ ტარიფსა და ახალ ტარიფს შორის უნდა დაფარულიყო ქონებით, ანუ

გაზგამანაწილებელი სისტემა უნდა გადასულიყო „გაზპრომის“ ხელში. სწორედ მაშინ გადაეცა „გაზპრომს“ სომხეთის გაზგამანაწილებელი სისტემა. საქართველო ამ პირობას არ დათანხმდა. ყოველივე ამის შედეგად, სომხეთს აქვს დაბალი ტარიფი. ამ დაბალი ტარიფის 10%-ს რომ აიღებ, ბუნებრივია, რომ არ გეყოფა გატარებული გაზის 10%-ის შესაძენად. ეს არის ამ ხელშეკრულების ეკონომიკური ასპექტი...

- **თუმცა ენერჯეტიკის მინისტრი კახა კალაძე ამბობს, რომ ტრანზიტის საფასურის ტარიფი საერთაშორისო სტანდარტისაა...**

- საერთაშორისო სტანდარტის ტარიფის ცნება არ მესმის. თუ ევროკავშირზეა ლაპარაკი, ამ ორგანიზაციას აქვს ენერჯეტიკული ქარტია, რომელსაც საქართველო მიერთებულია, მაგრამ რუსეთმა ამაზე უარი თქვა, შესაბამისად, მას არ აქვს არანაირი ვალდებულება დაიცვას ეს საერთაშორისო სტანდარტები. ამიტომ ეს განცხადება გაუგებარია.

- **ოპოზიცია, არასამთავრობო სექტორი ითხოვს ხელშეკრულების სრულად გასაჯაროებას, პრემიერმა განაცხადა, რომ ნაწილი შესაძლოა გასაჯაროვდეს კიდევ...**

- სრულად ვიზიარებ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვიციანიშვილის კომენტარს, რომლის თანახმადაც ხსენებული შეთანხმება სულაც არ უნდა აღვიქვათ „საზეიმოდ“. უნდა ითქვას, რომ ხელშეკრულების გაფორმებისას წლების წინ, თავიდანვე იყო შეცდომა დაშვებული, თუმცა ამას ჩვენთვის აქამდე ზიანი არ მოუტანია. საქმე იმაშია, რომ „გაზპრომი“ სახელმწიფო კომპანია კი არის, მაგრამ მაინც კომპანიაა, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო კი არის პოლიტიკური ორგანო, ამიტომ, თავის დროზე, ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო ან საქართველოსა და რუსეთის მთავრობებს (ან ენერჯეტიკის სამინისტროებს) შორის, ან უნდა გაფორმებულიყო „გაზპრომსა“ და საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას შორის, ანუ ვისაც ეს გაზსადენი ეკუთვნის. მოკლედ, არათანაბარზომიერი ხელშეკრულებაა. ადრე, როდესაც ამას მოეწერა ხელი, საქართველოს ზიანი არ მიუღია, მაგრამ ახლა ვართ არათანაბარ პირობებში... კერძო კომპანიებს შორის რომ იყო ხელშეკრულება გაფორმებული, რა თქმა უნდა, ეს კომერციული საიდუმლოება იქნებოდა, მაგრამ როდესაც ერთ მხარეს

სახელმწიფოა, მეორე მხარეს კი - კომპანია, ეს რთული სამართლებრივი საკითხია. იურისტი არ ვარ და არ მინდა რამე შემეშალოს, შეიძლება თვითონ ხელშეკრულება ითვალისწინებდეს რიგი დეტალების გასაიდუმლოებას...

- ისმის კითხვა, რატომ დათანხმდა საქართველო „გაზპრომის“ ასეთ პირობებს?

- ყველაზე მარტივი პასუხად გამოდგება ის, რომ ამ მოლაპარაკებებს არაკომპეტენტური ადამიანები აწარმოებდნენ, რადგან ვხედავთ, რომ სწორედ არაკომპეტენტური კადრები ლაპარაკობენ პარლამენტის თუ მთავრობის სახელით. წესით, ჯერ უნდა იყო იმ დრაგის სპეციალისტი და მერე უნდა ხდებოდა გადაწყვეტილებების მიმღები პირი, მაგრამ საქართველოში ჯერ-ჯერობით პირიქითაა...

ერთ-ერთი ვარაუდით, შესაძლოა რუსეთს უარი ეთქვა სომხეთში გაზის საქართველოს გავლით მიწოდებაზე, ირანში ეყიდა გაზი და იქდანვე შეეტანა, მით უფრო, რომ ირან-სომხეთის დამაკავშირებელი გაზსადენი „გაზპრომისაა“. ეს თეორიულად შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად შეუძლებელი, რადგან ის „გაზსადენი“ უკვე დატვირთულია და გაზის დამატებით მოცულობას ვეღარ გაატარებს.

- ერთ-ერთი ექსპერტისგან მოვისმინე ასეთი მოსაზრებაც, რომ შესაძლოა „გაზპრომს“ საქართველოსთან ძველი პირობებით ერთწლიანი შეთანხმება კიდევ დაედო, თუმცა ამ ერთ წელში ირანისა და სომხეთის დამაკავშირებელი ახალი გაზსადენის აშენებით დაგვმუქრებოდა...

- დიდი ბოდიში, მაგრამ ამას ვინ უნდა ლაპარაკობდეს - ექსპერტი თუ მინისტრი, ან თუნდაც მისი მოადგილე?! რატომ არ თქვეს თავიდანვე, რომ ზეწოლა იყო ჩვენზეო, ხომ არ უთქვამთ, ახლა რომც თქვან, დაჯერება გაჭირდება, რადგან ამის „მატარებელი“ უკვე ჩავლილია“.

თუ საქართველოს სამთავრობო დელეგაცია „გაზპრომთან“ მოლაპარაკებისას რაიმე ზეოწლის ქვეშ იყო, მან ეს უნდა თქვას. შესაძლოა ბოლომდე არ თქვას ყველაფერი, რადგან ეს პოლიტიკაა, მაგრამ უნდა მიგვანიშნოს მაინც... ვინმე ხედვს ამ მინიშნებას?! იძახდნენ, წარმატებას მივალწიეთო...

გაგახსენებთ, ამ საკითხზე ერთი წლის წინ საქართველოში ატეხილ ხმაურსაც, როდესაც კალაძემ შეთანხმების მიღწევა ძველი პირობებით მოახერხა, იმახდა, გავიმარჯვეთო, შარშან თუ გაიმარჯვა, მაშინ წელს უნდა თქვას, - დავმარცხდითო. შარშანაც გაიმარჯვა და წელსც?! ეს ორი გამარჯვება ერთმანეთს რომ გამოირიცხავს!

ერთიცაა, საკმაოდ ცნობილ ენერგეტიკულ საიტზე, სომხეთს ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში ჰქონდა განცხადება გაკეთებული, რომ რუსეთი საქართველოსთან მოლაპარაკებაში წარმატებას მიაღწევს, შეამცრებს ტრანზიტის საფასურს, გადაიყვანს ფულად ანაზღაურებაშიო, რის შედეგადაც სომხეთის მთვრობა მოსახლეობას გაზის ტარიფის გაიაფებას ჰპირდებოდა. ეს სომხეთმა იცოდა ნოემბერში, ჩვენი მთავრობა ამ დროს სად იყო?! რაც შეეხება ექვს კორუფციულ გარიგებებზე, ამაზე ვერაფერს ვიტყვი, ძალიან მძიმე ბრალდებაა და შესწავლისა და დოკუმენტების გარეშე ლაპარაკი, არ შეიძლება. ეს უფრო კომპეტენტური ორგანოების საქმეა და მე ამ საკითხში ვერ გამოვდგები...

რაც მოხდა, ეს აშკარად არის საქართველოს დათმობა რუსეთის მიმართ. სერგო ორჯონიკიძესაც ეგონა, რომ თუ საქართველოს რუსეთს მიუერთებდა, ეს ჩვენი ქვეყნისთვის კარგი იქნებოდა. შეუძლებელია, რომ ყველა ხმალამოღებული ქაქუცა ჩოლოყაშვილი იყოს, მაგრამ სერგო ორჯონიკიძეს ან თუნდაც მის „ჩრდილს“ მაინც ნუ დაემსგავსები და ნუ დაიწყებ იმის მტკიცებას, ეს თურმე „ოპტიმალური“ შეთანხმებააო!

- რას ფიქრობთ, ხელისუფლების მიერ წამოწყებულ გალარების პროექტზე, გავრცელებული ინფორმაციით, გალარების დაწყებიდან სამ დღეში საქართველოს კომერციულ ბანკებს სესხების გასალარებლად 2000-მე მეტმა ადამიანმა მიმართა...

- სულაც არ მიკვირს, რომ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და კომერციულმა ბანკებმა ეს პროცესი ჯეროვან დონეზე წარმართავენ. მიხედვად ამისა, პირდაპირ გეტყვით, გამორიცხულია უშუალოდ ამ პროცესმა გამოიწვიოს ლარის სტაბილურობა. ეს პროექტი არანაირად არ არის გათვლილი ამაზე და ეროვნული ვალუტის სტაბილურობა სულ სხვა თემაა. რატომ ვერ მიეზმება ეს პროექტი ლარის სტაბილურობას? - საქმე ისაა, რომ ჩვენს ბანკებს კრედიტის სახით აღებული აქვთ

თანხები ევროპის ფინანსური ბაზრებოდან. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, ქართული კომერციული ბანკების მიერ აღებული საგარეო ვალი შეადგენს ქვეყნის მთლიანი შიგა პროდუქტის თითქმის 22%-ს, რაც ძალიან დიდი თანხაა. ამას ხომ უნდა მომსახურებაც და დაბრუნებაც. კომერციული ბანკისთვის მოქალაქე იყიდის დოლარს თუ ბოლოს თავად ბანკი იყიდის უცხოურ ვალუტას საგარეო ვალდებულების გასასტუმრებლად, რა აზრი აქვს, ბაზარზე რა შეიცვლება „შესაკრებთა გადანაცვლებით“?!

მეორე მხრივ, ჩვენი კანონის მიხედვით ლარი არის ერთადერთი საგადამხდელო საშუალება, მაგრამ ფულის ერთ-ერთ მთავარ დაგროვებით ფუნქციას ლარი, სამწუხაროდ, ჯეროვნად ვერ ასრულებს, ანუ ადამიანებს ურჩევნიათ დააგროვონ დოლარში, ვიდრე ლარში, რადგან დოლარისადმი, მისი სტაბილურობისადმი მეტია ნდობა.

კარგია, რომ ფასი გამოცხადდეს უცხოურ ვალუტაში, მაგრამ, წარმოიდგინეთ, ადამიანი, რომელიც ყიდის ბინას, გამოაცხადებს მის ფასს დოლარის ეკვივალენტ ლარში, თუმცა მაინც აიღებს დოლარს, ან თუ აიღებს ლარს, მყისიერად გაიქცევა და თვითონვე იყიდის დოლარს. მოკლედ, სავალუტო ბაზარზე დოლარზე მოთხოვნა მაინც შენარჩუნდება...

ეს პროგრამა არის იმისთვის, რომ ადამიანები შეეჩვიონ, საბანკო ოპერაციების ლარში ჩაატარებას, რაც თავისთავად ცუდი არ არის. თუმცა, ლარის სტაბილურობის კუთხით მასზე დიდი იმედების დამყარება ნამდვილად არ ღირს.

- „რაის ეროვნული სიამაყეა ლარი, 20 წლის წინანდელი პროდუქტია და ტრანსფორმაცია მიდის ამ სფეროში. ეს საერთოდ უნდა მოიხსნას და იყოს მიმოქცევაში დოლარი...“ – განაცხადა ახლახან გატვირთვულმა გიგი უგულავამ, ბოლო ხანს ამგვარი მოსაზრება საკმაოდ ხშირად ისმის, მათ შორის ექსპერტებისგანაც...

- ჯერ დაჭერით, მერე გამოშვებით, მერე ისევ დაჭერით, ახლა კი საბოლოო გათავისუფლებით გიგი უგულავა ლამის გმირად აქცია „ქართულმა ოცნებამ“, არადა, რაც არ იცის კაცმა, იმაზე ლაპარაკს თავი უნდა დაანებოს.

წარმოიდგინეთ, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ლარზე ვამბობთ უარს და გადავდივართ აშშ დოლარზე, საიდან უნდა მოვიტანოთ ეს დოლარები?! ან ამერიკის ფედერალურ-სარეზერვო სისტემამ უნდა თქვას, მე ვუზურნველყოფ საქართველოს დოლარებითო (თუმცა რატომ უნდა თქვას?!). ან იმხელა ექსპორტი უნდა გვქონდეს, რომ ამით დიდი ოდენობით დოლარები შემოდოდეს ქვეყანაში. ჩვენ კიდე ისეთი სავაჭრო ბალანსი გავქვს, დოლარებს იქით ვკარავთ... ასე საკითხის დაყენება არის უცოდინრობა, რაც შეეხება ისმა, რომ ლარი თურმე გადმონაშთია, ასე მაშინ გადმონაშთია დროშაც, გერბიც და ჰიმნიც... ამაზე სერიოზული კომენტარის გაკეთება შეუძლებელია.

- ჩვენში სახელმწიფო მოხელეთა მადა სულ უფრო და უფრო იზრდება, შესაბამისად, პრემია-დანამატების ოდენობაც მზარდია...

- პრემია-დანამატების გაცემა დამკვიდრებული იყო „ნაციონალური“ მთვარობის მიერ და „ქართული ოცნება“ ამისგან ვერ გათავისუფლდა. ისევე, როგორც ძალიან ბევრი რამისგან, მაგალითად, იგივე პრობლემებია საკადრო პოლიტიკაში, არკომპეტენტური კადრების შერჩევაში და ა.შ. ხომ ყველასთვის გასაგებია, რომ განათლების მინისტრი პაროდული ფიგურაა, მაგრამ რამდენეჯერაც ვიტყვით, რომ უნდა გადადგეს, მით მეტად შეინარჩუნებენ მას ამ პოსტზე „ქოცები“, რადგან მათთვის ეს პრინციპის საქმეა. ასე იყო წინა ხელისუფლების დროსაც, უბრალოდ, ჯეჯელავა არ არის ისეთი აგრესიული, როგორიც ლომია იყო. თუმცა არც ამ ადამიანს აქვს რაიმე კავშირი განათლებისა და მეცნიერებასთან. ამასთანავე, რაც ძალიან ცუდია, ამ მთვარობისთვის დამახასიათებელია კრონიზმი, ანუ თანამდებობაზე მეგობრების დანიშვნა.

კანონში მაკაფიოდაა ჩაწერილი, რომ ხელფასი შედგება სამი ნაწილისგან, ესენია: სარგო, დანამატი და პრემია. თუ ჩვენ დანამატის და პრემიის გაცემა გვინდა, უნდა იყოს მკაფიო რეგულაცია იმისა, თუ როგორ და რისთვის გაიცემა ეს დანამატი და პრემია. სწორედ ისაა პრობლემა, რომ ეს რეგულაციები მკაფიოდ ჩამოყალიბებული არ გვაქვს.

მოკლედ, ყველაფერი პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული და ყველა პრობლემას მოეწვება. კიდევ მნიშვნელოვანია, რომ ეს დაიწყოს პირამდის სათავიდან, ანუ ჯერ უმაღლესი თანამდებობის პირებმა თქვან უარი დანამტებსა და პრემიებზე და მერე უკვე დაბალ ეშელონებზეც გავრცელდეს. ძალიან მაღიაზიანებს, როდესაც „ნაცები“ ლაპარაკობენ ამაზე და აკრიტიკებენ „ქოცებს“, რადგანაც მათ არ აქვთ ამის არანაირი მორალური უფლება!

- რა ფიქრობთ „ნაციონალური მოძრაობის“ გარშემო განვითარებულ მოვლენებზე?

- „ნაციონალური მოძრაობა“ არ დაშლილა, „ნაციონალური მოძრაობა“ გამრავლდა. ვისაც ჰგონია, რომ „გირჩი“ „ნაციონალური მოძრაობა“ არ არის, ცდება, ეს არის „ნაცმოძრაობის“ ექსტრემისტული ფრთა, არის კიდევ ზომიერი ნაწილი და ა.შ. მენტალურად ესენი ყველა „ნაცები“ არიან. „ნაცმოძრაობა“ ისე გამრავლდა, რომ უკვე „ქართულ ოცნებაშიც“ არის მისი ნაწილი.

მოკლედ, სახეზე გვაქვს არა კოჰაბიტაცია, არამედ ამ „ნაცების“ და „ქოცების“ ინტეგრაცია და ეს არანაირ დისკომფორტს არ უქმნის „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ელიტას. ჩვენ ისიც ხომ მოვისმინეთ, რომ ოქრიაშვილი ყველაზე გონიერი ბიზნესმენი ყოფილა, რადგან არ დაუპირისპირდა „ნაცების“ რეჟიმს, მურუსიძე კიდევ - მსხვერპლი... აგერ მაღლფერობე გავგვიხდა „საზმუწყებლის“ დირექტორი... მოკლედ, „ქოცებში“ უკვე ზოგი მამალი „ნაცია“, ზოგიც - მედროვე...

- 20 იანვარს აშშ-ის ახალი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ინაუგურაცია ხმაურიანი აქციების ფონზე გაიმართა, რას ფიქრობთ მის საინაუგურაციო სიტყვაზე და მიიღებს ბოლოს და ბოლოს მას პრეზიდენტად ამერიკული საზოგადოება?

- რაც ხდება, იმის მაჩვენებელია, რომ ვაშინგტონს, სამწუხაროდ, საქართველოსთვის კარგა ხანს არ ეცლება. ვერ გეტყვით მიიღებს თუ არა ამერიკა ტრამპს, ეს თვითონაც არ იციან.

ის, რომ ამერიკამ თავზე „ნაცარი წაიყარა“ და აღიარა, რომ თურმე რუსეთის დაზვერვა ჩაერია აშშ-ს არჩევნებში, კიბერთავდასხმა მოხდა და ა.შ., ერთი მხრივ, აჩვენებს, რომ აშშ არ ყოფილა მთლად ისეთი ძლიერი სახელმწიფო, როგორც გვეგონა,

თუმცა მეორე მხრივ, აშკარა ნიშნებია იმისა, რომ ამით ტრამპის იმპიჩმენტის საფუძველის შექმნას ცდილობენ. იქნება იმპიჩმენტი თუ არა, რთული სათქმელია. ტრამპი ცდილობს გადაიტანოს პოლიტიკური აქცენტები საშინაო ვითარებზე, აქედან გამომდინარე, მისი საგარეო ინტერესები შესუსტებულია. ამბობს იმასაც, რომ სურს კარგი ურთიერთობა ჰქონდეს პუტინთან. ეს თუ მართლაც ასეც მოხდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ სერიოზული მხარდამჭერი ურთიერთობა ვერ ექნება საქართველოსთან. ყველაზე უარესი სცენარით, სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების კუთხით საქართველო საკმაოდ დიდი საფრთხის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს, რადგან ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ყველაზე დიდი გარანტორი სწორედ ამერიკის შეერთებული შტატებია.

მოსკოვთან მართლა დაათბობს ტრამპი ურთიერთობებს თუ არა, ესეც რთული სათქმელია, რადგან ვიდრე პრეზიდენტი გახდებოდა, ხშირად აკეთებდა ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს და ცვლიდა თავის შეხედულებებს.

როგორი იქნება პრეზიდენტი ტრამპი? - ეს არავინ იცის, სრულიად არაპროგნოზირებადი ვითარებაა.

ნათია დოლიძე